ეთიკის კომისიის

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:
კოლეგიის თავმჯდომარე: კონსტანტინე გელაშვილი
კოლეგიის წევრი: ეკატერინე გეწაძე
კოლეგიის წევრი: ეკატერინე მაჭარაშვილი

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 06.12.22
შეკითხვის ავტორი: ადვოკატი
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 020/22

I. შეკითხვა

თუ ადვოკატი დასაქმებულია ორგანიზაციაში და საადვოკატო მომსახურებას (უსასყიდლოდ) უწევს პირს, როგორც ორგანიზაციის ბენეფიციარს (ე.ი. პირი დამოუკიდებლად არ მისულა ადვოკატთან საადვოკატო მომსახურების მისაღებად, არამედ ეს პირი ადვოკატთან გადაამისამართა ადვოკატის დამსაქმებელმა ორგანიზაციამ), ადვოკატის დამსაქმებლისა და ადვოკატის მარწმუნებლის ინტერესებს შორის კონფლიქტის შემთხვევაში ადვოკატმა უნდა იმოქმედოს თუ არა მაინც მარწმუნებლის ინტერესებით? არის თუ არა ეს მისი ეთიკური ვალდებულება?

ვაზუსტებ: ადვოკატის დამსაქმებელი ორგანიზაციისა და ამავე ორგანიზაციის ბენეფიციარის ინტერესთა კონფლიქტში ვიგულისხმე ჰიპოთეტური სიტუაცია, როდესაც ადვოკატის დამსაქმებელი ორგანიზაციის მითითებები საქმის წარმოებასთან დაკავშირებით, ადვოკატის აზრით, არ შეესაბამება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს და ადვოკატი ფიქრობს, რომ კლიენტის ინტერესებისთვის უმჯობესია იმოქმედოს ისე, როგორც თვითონ მიიჩნევს და რაც განსხვავდება ამ საქმესთან დაკავშირებით დამსაქმებელი ორგანიზაციის მითითებებისა და ხედვებისგან (მითითებები დამსაქმებელი ორგანიზაციისგან მოდის მისი ხელმძღვანელის მეშვეობით). ამასთან, ადვოკატის დამსაქმებელ ორგანიზაციასა და ორგანიზაციის ბენეფიციარს შორის არ არსებობს სამართლებრივი დავა.

II. ანალიზი

ეთიკის კომისიამ ადვოკატის შეკითხვაში აღწერილი ჰიპოთეტური ფაქტები განიხილა, დამოუკიდებლობისა და კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპების მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით.

„ადვოკატი არის თავისუფალი პროფესიის პირი რომელიც ემორჩილება მხოლოდ კანონსა და პროფესიული ეთიკის ნორმებს...“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 1.2)

საადვოკატო საქმიანობის პრინციპია საადვოკატო საქმიანობის თავისუფლება და დამოუკიდებლობა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 3.“ე“).

„ადვოკატის საქმიანობა შეიძლება შეიზღუდოს მხოლოდ კანონით“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 4.2).

„ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას დამოუკიდებლად ახორციელებს. დაუშვებელია ადვოკატის საქმიანობაში არამართლზომიერი ჩარევა, ადვოკატის საქმიანობისათვის ხელის შეშლა, ადვოკატზე სახელმწიფო ორგანოს ან/და სხვა პირის არასათანადო ზემოქმედება, მისი დაშინება, შევიწროვება... ნებისმიერი სხვა ქმედება რომელმაც შეიძლება ხელყოს ადვოკატის დამოუკიდებლობა.“ (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 38.1)

ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი მე-2 მუხლის შესაბამისად კლიენტად ითვლება ნებისმიერი პირი, რომელიც ადვოკატს მიმართავს იურიდიული რჩევის მიღების მიზნით (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 2. პირველი წინადადება).

„ადვოკატი თავისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას დამოუკიდებელია ყოველგვარი გავლენისგან ან სხვა ზეწოლისაგან, მათ შორის მისი პირადი ინტერესებიდან და ემორჩილება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობას, საერთაშორისო სამართლის და პროფესიული ეთიკის ნორმებს. ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას კლიენტის, სასამართლოს ან სახელმწიფოს სხვა ორგანოს ან სხვა პირის ინტერესების სასარგებლოდ.“ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 2)

„ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა. თუმცა კლიენტის ინტერესების დასაცავად ადვოკატის მოქმედებები უნდა შეესაბამებოდეს კანონმდებლობას და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსს.“(ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 5)

„ადვოკატი კლიენტთან საქმიანობას იწყებს ურთიერთშეთანხმების საფუძველზე...“ (აპეკ, მუხლი 8.2).

პრინციპები, რომლებიც საადვოკატო საქმიანობის მიმართულებასა და ადვოკატის ზოგად ქცევის წესს განსაზღვრავენ, ადვოკატს პირველყოვლისა ავალდებულებენ იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე. აღნიშნული, კანონიერების პრინციპის დაცვის თანადროულად, ადვოკატის განუხრელი ვალდებულებაა და თავად ადვოკატის პროფესიის ფუნქციიდან მომდინარეობს, სწორედ ამიტომ საადვოკატო საქმიანობაში თავისთავად იგულისხმება კლიენტის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით განხორციელებული საქმიანობა. ამასთან, კლიენტის ინტერესების უპირატესობის პრინციპი შეიძლება მოვიდეს კონკურენციაში ადვოკატის სხვა პროფესიულ ვალდებულებებთან, მათ შორის კოლეგიალობის პრინციპთან, სასამართლოს

მიმართ ვალდებულებასთან და ა.შ. თუმცა ერთადერთი, რითიც შეიძლება შეიზღუდოს ადვოკატის საქმიანობა და შესაბამისად კლიენტის ინტერესები, არის კანონი და პროფესიული ეთიკის ნორმები. დანარჩენ შემთხვევაში, ადვოკატი ვალდებულია არ დაუშვას კომპრომისი საკუთარი პროფესიული ვალდებულებების შესრულებისას და საადვოკატო საქმიანობის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის პრინციპიდან გამომდინარე გადაწყვეტილებების მიღებისას, კლიენტთან შეთანხმებული სტრატეგიის შესაბამისად იხელმძღვანელოს თვისი პროფესიული ცოდნითა და გამოცდილებით.

მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ ადვოკატი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას თავისუფალია ყოველგვარი გავლენისგან, ადვოკატს თავად კლიენტის მითითებებიც კი არ ავალდებულებს, იმგვარი სტრატეგიით დაიცვას მარწმუნებლის ინტერესები, რომელიც მის პროფესიულ ხედვასა თუ პრინციპებს არ შეესაბამება. ადვოკატი, პოტენციური კლიენტის საუკეთესო მიზნისა და მისი მიღწევის გზების განსაზღვრაში, მიუხედავად თავად პოტენციურ კლიენტთან საკითხის შეჯერებისა, საბოლოო ჯამში გადაწყვეტილების მიღებისას დამოუკიდებელია, რაც საფუძველი ხდება კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობის ან დაწყების ანდაც დაუწყებლობისა. ხოლო უკვე არსებულ კლიენტთან, წამოჭრილი პრობლემური საკითხების გადაჭრის გზებზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, ადვოკატი უფლებამოსილია, კანონისა და პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით, გავიდეს კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობიდან.

ეთიკის კომისია განმარტავს, რომ საადვოკატო ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივ გარიგებას წარმოადგენს, რომელიც მხარეთა ურთიერთშემხვედრი თავისუფალი ნების საფუძველზე იწყება. ადვოკატი კლიენტთან საადვოკატო ურთიერთობის დაწყებისას ნების ავტონომიით სარგებლობს. კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობა შეთანხმებით იწყება, რაც კლიენტის ინტერესების დაცვისას უზრუნველყოფს, ადვოკატის გამოცდილებითა და პროფესიული ცოდნის საფუძველზე, ადვოკატისა და კლიენტის ხედვებით საქმის წარმოების საერთო სტრატეგიის შემუშავებას. შესაბამისად, კლიენტის ინტერესების უპირატესობა, ადვოკატის დამოუკიდებლობა და კლიენტ-ადვოკატს შორის თანმხვედრი ნების საფუძველზე ურთიერთობის დაწყება, უზრუნველყოფს კლიენტისათვის იმგვარი საადვოკატო საქმიანობის გაწევას, რომელიც თავად კლიენტის ნებას და ადვოკატის ხედვებს ემყარება. სწორედ ამიტომ, უაღრესად მნიშვნელოვანია ადვოკატმა პოტენციურ კლიენტს ნათლად დაანახოს და აუხსნას მისი ხედვები საქმესთან დაკავშრებით და თავიდანვე შეათანხმოს მასთან, იმ მომენტისთვის შესაძლებელი, საქმის წარმართვის მაქსიმალურად დეტალური სტრატეგია.

რაც შეეხება კითხვაში აღწერილი ჰიპოთეტურ გარემოებას, იგი განსხვავდება ზემოთ განხილული კლასიკური „კლიენტ-ადვოკატის“ ურთიერთობისგან. როგორც შეკითხვაში არის განმარტებული, ადვოკატსა და კონკრეტულ კლიენტს შორის ურთიერთობა არა უშუალოდ ადვოკატის მიერ კლიენტისა და კლიენტის მიერ ადვოკატის შერჩევის თავისუფალი ნების საფუძველზე დაიწყო, არამედ დამსაქმებელმა ორგანიზაციამ თავისი კლიენტი, თავისსავე თანამშრომელთან გაანაწილა საადვოკატო მომსახურეობის გასაწევად. აღნიშნულ შემთხვევაში, კლიენტ-ადვოკატის ურთიერთობაში შემოდის ორგანიზაცია, რომელსაც ერთი მხრივ კლიენტმა, როდესაც მან მიმართა სამართლებრივი დახმარების მისაღებად, განუცხადა თანხმობა მისთვის, ორგანიზაციის წესების შესაბამისად გაეწიათ საადვოკატო მომსახურება, ხოლო მეორე მხრივ, ადვოკატმა, როდესაც მან დაამყარა შრომითსამართლებრივი ურთიერთობა ორგანიზაციასთან, გამოხატა ნება ორგანიზაციის

პოლიტიკისა და მისი შიდა წესების შესაბამისად განეხორციელებინა თავისი საქმიანობა. გამომდინარე აქედან, საადვოკატო მომსახურეობის ხელშეკრულების წინარე, კლიენტ-ადვოკატის ურთიერთშეთანხმების ეტაპი, სამ სუბიექტს შორის განხორციელდა და ვინაიდან შედგა საადვოკატო მომსახურეობის შესახებ შეთანხმება, იგულისხმება რომ საქმის წარმოების სტრატეგია თითოეული სუბიექტის ხედვასა და ინტერესების შეჯერებას დაეფუძნა. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, საქმის წარმოების ეტაპზე შეიძლება წარმოიშვას ისეთი საკითხები, რომელზეც შეთანხმების მხარეებს განსხვავებული აზრი და პოზიცია ჩამოუყალიბდეთ. ამგვარი საკითხები კვლავ სამივე სუბიექტის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ეთიკის კომისია განმარტავს, რომ პირველ ეტაპზე აუცილებელია კლიენტმა, ორგანიზაციამ და ადვოკატმა პრობლემურ საკითხებზე ხელახლა შეაჯერონ თავიანთი ხედვები, გახსნილი დიალოგი ადვოკატს მისცემს საშუალებას ორგანიზაციასთან და კლიენტთან შეთანხმებით, თავისი ხედვებისამებრ გაუწიოს ბენეფიციარს მომსახურეობა. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდება საერთო პოზიციაზე შეჯერება, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვით. რაც უპირატესად კლიენტის ინტერესების გათვალისწინებით მოქმედებას გულისხმობს. აღნიშნული იქიდან გამომდინარეობს, რომ ორგანიზაცია კლიენტს იურიდიულ დახმარებას უწევს კონკრეტული ფიზიკური პირის (ადვოკატის) მეშვეობით, ხოლო იმ დროიდან, როცა საქმე ადვოკატს გადაეცემა საწარმოებლად, საქმის წარმართვის ნაწილში ადვოკატი გადაწყვეტილებებს იღებს დამოუკიდებლად, ვინმეს მითითებისა თუ ჩარევის გარეშე. შესაბამისად, საქმის მიმდინარეობისას წარმოშობილი ისეთი საკითხის გადაწყვეტისას, რომელზეც არ ემთხვევა ადვოკატისა და დამსაქმებელი ორგანიზაციის შეხედულება, ადვოკატმა, კლიენტთან შეთანხმებით, ყველა იმ რისკის და პოტენციური შედეგის ახსნითა და განმარტებით, რომლებიც შესაძლებელია მის ქმედებას მოჰყვეს, უნდა იმოქმედოს კლიენტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ადვოკატის საქმიანობაში დამსაქმებელი ორგანიზაციის ინტერესების სასარგებლოდ კომპრომისის დაუშვებლობას გულისხმობს.

III. დასკვნა

ადვოკატის ეთიკური ვალდებულებაა იმოქმედოს მარწმუნებლის ინტერესებით. ადვოკატის ყველა გადაწყვეტილება და ქმედება შეთანხმებული უნდა იყოს და გამომდინარეობდეს კლიენტის ინტერესებიდან, მიუხედავად დამსაქმებელი ორგანიზაციის განსხვავებული ხედვისა, საქმის სტრატეგიასთან დაკავშირებით, ადვოკატმა არ უნდა დაუშვას კომპრომისი იმის საწინააღმდეგოდ, რაც მას კლიენტთან შეთანხმებით, მართებულად მიაჩნია კლიენტისათვის.

მითითება: ეთიკის კომისიის მიერ გაცემული რეკომენდაცია არის მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის მოსაზრება და არ აქვს სავალდებულო ხასიათი.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გეწაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე მაჭარაშვილი/